

მარია (მარიამ) ბარათაშვილი

პოეტი და დრამატურგი მარია ბარათაშვილი დაიბადა 1908 წლის 7 აპრილს (ძვ. სტილით), ჭიათურაში სახალხო მასწავლებლის ოჯახში. 1914 წელს შევიდა ადგილობრივ გიმნაზიაში. 1924 წელს დაამთავრა ჭიათურის ჰუმანიტარული ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო ჭიათურის სახელმწიფო ბანკში. 1933 წლიდან გადმოდის თბილისში საცხოვრებლად. 1941-1945 წლებში სწავლობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. 1965 წლიდან ჟურნალ “საქართველოს ქალის” რედაქტორია.

მ. ბარათაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა ახალგაზრდობიდანვე დაიწყო. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ “ჭიათურის მაღაროელში” 1935 წელს, ხოლო მისი ლექსების პირველი კრებული კი 1945 წელს გამოვიდა. აღსანიშნავია მ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულები: “ლექსები” 1948 წელი, “საპოვნელა” 1958 წელი, “დღე დღევანდელი” 1969 წელი, საბავშვო ლექსებისა და პოემების კრებულები “ნანული” 1914 წელი, “სოფელა, თინა და ჭიანჭველები” 1949 წ.

განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა მ. ბარათაშვილს 1950 წელს დაწერილმა პიესამ “მარინე”, რომელიც წარმატებით დაიდგა ქართულ, რუსულ და აგრეთვე უცხოეთის თეატრალურ სივრცეში. ეს პიესა ითარგმნა რუსულ, უკრაინულ იტალიურ, ესპანურ და ჩინურ ენებზე.

მ. ბარათაშვილის კალამს ეკუთვნის კინოსცენარი ფილმისთვის “ჭრიჭინა”, რომელიც 1954 წელს რეჟისორმა სიკო დოლიძემ გადაიღო. მისი შემდეგი პიესები ქართულ თეატრალურ სცენაზე დაიდგა “ჩემი ყვავილეთი”, “სართულები”, “მაღალი ოცნება”, “რატომ?”, “სიყვარულის წისკილი”, “ჩქარი მატარებელი”.

მ. ბარათაშვილი 1954 წელს აირჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოებულია მედლით “მამაცური შრომისთვის დიდი სამამულო ომში 1941-1945 წწ. 1946 წელს, “საპატიო ნიშნის” ორდენითა და მედლით.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება 1967 წელს, საქართველოს სახელმწიფო, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიები, ღირსების ორდენი.

გარდაიცვალა 2008 წლის 30 დეკემბერს.

მარია ბარათაშვილის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივ მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. მარია ბარათაშვილის პირადი ბარათი.
1952 წ. 21 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ნაბეჭდი. 3 გვ.
2. მარია ბარათაშვილის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ავტობიოგრაფი. რუსულ ენაზე. მელანი. 2 გვ.

3. მარიკა ბარათაშვილის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.
4. მარიკა ბარათაშვილის პიესების სია.
უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.
5. რეჟისორ ალექსანდრე ჟივოტოვის წერილი შალვა კილოსანიძისადმი, ლენინგრადში დადგმული მ. ბარათაშვილის “ჭრიჭინა-ს” შესახებ. აგრეთვე მეგობრებისთვის “ჭრიჭინა”-ს აფიშის გაგზავნასთან დაკავშირებით.
პირი: თამაზ ფერაძე.
1953 წ. 7 ივლისი. ლენინგრადი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
6. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შალვა კილოსანიძის წერილი გუგული ბუხნიკაშვილისადმი. უგზავნის რეჟისორ ა. ჟივოტოვის წერილის ასლს და ლენინგრადის “საგასტროლო თეატრის” აფიშას მ. ბარათაშვილის პიესის “მარინე”-ს დადგმაზე.
1953 წ. ავტობიოგრაფი. მელანი. ხელს აწერს: შალვა კილოსანიძე. 1 გვ.
7. მარიკა ბარათაშვილის წერილი მარია ნენოვასადმი, კომედია “ჭრიჭინა”-ს შექმნის შესახებ.
1954 წ. 7 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
8. ამონაბეჭდები საბჭოთა რუსული პრესიდან მ. ბარათაშვილის კომედიის “ჭრიჭინა”-ს დადგმების შესახებ.
1953 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 174 გვ.
9. ამონაბეჭდები საბჭოთა რუსული პრესიდან მ. ბარათაშვილის კომედიის “ჭრიჭინა”-ს დადგმების შესახებ.
1953 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. აკინწული წიგნის სახით. 174 გვ.
10. ამონაბეჭდები საბჭოთა რუსული პრესიდან მ. ბარათაშვილის კომედიის “ჭრიჭინა”-ს დადგმების შესახებ.
1954 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 178 გვ.
11. ამონაბეჭდები საბჭოთა რუსული პრესიდან მ. ბარათაშვილის კომედიის “ჭრიჭინა”-ს დადგმების შესახებ.
1954 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 66 გვ.
12. მოსაწვევი ბარათი მარიკა ბარათაშვილის შეხვედრა ქართველ მხატვრებთან.
1962 წ. 27 ივნისი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
13. დრამატურგ მარიკა ბარათაშვილისადმი მიძღვნილი სადამოს სტენოგრაფიული ანგარიში.
პირი: დ. ანთაძე, ე. კვიციანი, ა. ღვინიაშვილი, ვ. კიკნაძე, გ. იაკაშვილი, მ. წულუკიძე, თ. ჯანელიძე, თ. ჯანგულაშვილი, ვ. ბარათაშვილი, ქ. ბოჭორიშვილი.

1973 წ. 11 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. 39 გვ.

14. ე. დიუკინას ანოტირებული ბიბლიოგრაფია – “ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებები საბჭოთა სცენაზე – მ. ბარათაშვილის “ჭრიჭინა”.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 58 გვ. (2 ეგზ.)
15. კიევის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის პროგრამა
მ. ბარათაშვილის “ჭრიჭინა”.
რეჟისორი – ნ. ზარდალიშვილი.
მხატვარი – დ. თავაძე.
კომპოზიტორი – რ. გაბინვაძე.
1953-54 წწ. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 ც. (3 ეგზ.).

არქივი გადაამუშავა მაია ნაგლაძემ.